
შპს ატრიუმი
L.T.D.ATRIUMI

შენობა №01/2-ის, №02/2-ის, №03/1-ის და №04/1-ის ჟვეშ, სარდაფი



ნახაზი შესრულებულია დამკვეთთან შეთანხმებით

საერთო ფართი: 1224.51 კვ.მ


მისამართი	ქ. თბილისი, დავით ბაქრაძის ქ.№15		
აზომვა ჩატარდა	24.11.2020	მასშტაბი: 1: 100	

დირექტორი		ლ. ერაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა		მ. ერაძე
აზომვა შეასრულა		გ. მამუჩიშვილი
დამკვეთი		შპს საერო საშუალო სკოლა-კომპლექსი "სადური"

შიდა აზომვა

შპს ატრიუმი
L.T.D.ATRIUMI

შენობა №01/2-ის, №02/2-ის, №03/1-ის, №04/1-ის, №06/1-ის, №07/1-ის და №08/1-ის I სართული



ნახაზი შესრულებულია დამკვეთთან შეთანხმებით

საერთო ფართი: 1658.22 კვ.მ


მისამართი	ქ. თბილისი, დავით ბაქრაძის ქ.№15		
აზომვა ჩატარდა	24.11.2020	მასშტაბი: 1: 100	


შიდა აზომვა


დირექტორი		ლ. ერაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა		მ. ერაძე
აზომვა შეასრულა		გ. მამუნიშვილი
დამკვეთი		შპს საერო საშუალო სკოლა-კომპლექსი "ხადური"

შპს ატრიუმი
L.T.D.ATRIUMI

შენობა №01/2-ის, №02/2-ის II სართული და №5/3-ის II სართულის ფრაგმენტი







ნახაზი შესრულებულია დამკვეთთან შეთანხმებით


საერთო ფართი: 1272.03 კვ.მ


მისამართი	ქ. თბილისი, დავით ბაქრაძის ქ.№15		
აზომვა ჩატარდა	24.11.2020	მასშტაბი: 1: 100	

შიდა აზომვა		
დირექტორი		ლ. ერაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა		მ. ერაძე
აზომვა შეასრულა		გ. მამუჩიშვილი
დამკვეთი		შპს საერო საშუალო სკოლა-კომპლექსი "საღური"

შ.პ.ს ატრიუმი
L.T.D.ATRIUMI

შენობა №02/2-სა და შენობა №05/3-ს შორის არსებული არასრული სართული






ნახაზი შესრულებულია დამკვეთთან შეთანხმებით

საერთო ფართი: 208.6 კვ.მ

				შიდა აზომვა
			დირექტორი	ლ. ერაძე
			კომპიუტერული უზრუნველყოფა	მ. ერაძე
			აზომვა შეასრულა	გ. მამუჩიშვილი
მისამართი	ქ. თბილისი, დავით ბაქრაძის ქ.№15			
აზომვა ჩატარდა	24.11.2020	მასშტაბი: 1: 100	დამკვეთი	შპს საერო საშუალო სკოლა-კომპლექსი "სადუნი"

შპს ატრიუმი
L.T.D.ATRIUMI

შენობა №05/3-ის III სართული



ნახაზი შესრულებულია დამკვეთთან შეთანხმებით

საერთო ფართი: 833.91 კვ.მ

მისამართი	ქ. თბილისი, დავით ბაქრაძის ქ.№15		
აზომვა ჩატარდა	24.11.2020	მასშტაბი: 1: 100	

შიდა აზომვა

დირექტორი		ლ. ერაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა		მ. ერაძე
აზომვა შეასრულა		გ. მამუჩიშვილი
დამკვეთი		შპს საერო საშუალო სკოლა-კომპლექსი "ხალუნი"

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური



MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 0 19 03202602

29/11/2019

შპს "სადუნი"-ს
დირექტორს **მარიამ ცინცაძეს**

მის: ქ. თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. N 15

ქალბატონო მარიამ,

გიგზავნით, სკოლის შენობის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) საფუძველზე შედგენილ **N 2112** მიწერილობას.

დანართი: "4" (ოთხი) ფურცლად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობა
მიწერილობა N 2112
სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე

„29“ ,,ნოემბერი“ 2019 წ.

შპს „სადუნი“-ს (ს/კ 202063480)

გენარალურ დირექტორს მარიამ ცინცაძეს (პ/ნ 01007002650)

ჩვენ, შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციისა და რეაგირების სამმართველოს ინსპექტორმა გიორგი გრძელიძემ და უმცროსმა ინსპექტორმა ალექსანდრე ხუციშვილმა

შპს „სადუნი“-ს ტექნიკურ მენეჯერთან კონსტანტინე ლოცულაშვილთან- ერთად

2019 წლის 25 ნოემბრის N 155 განკარგულების საფუძველზე, 2019 წლის 28 ნოემბერს ჩავატარეთ ქ. თბილისში, დავით ბაქრაძის ქ. N 15-ში მდებარე შპს „სადუნი“-ს (საგანმანათლებლო) 3 (სამი) სართულიანი შენობის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა).

შემოწმების (გამოკვლევის) დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 34-ე მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სავალდებულოა შემდეგი ღონისძიებების შესრულება:

№	ღონისძიებების დასახელება	შესრულების ვადა	აღნიშვნა შესრულების შესახებ (აღინიშნება მხოლოდ შესრულებული ღონისძიებები)
1	2	3	4
1.	ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, სკოლის შენობაში დამონტაჟებული სახანძრო სიგნალიზაცია მოყვანილი იქნას შესაბამისობაში, სახანძრო სიგნალიზაციის მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პულტი განთავსდეს ერთ სათავსში, სადაც მიმდინარეობს ოცდაოთხსაათიანი მორიგეობა, გამოკრული იქნება ინსტრუქცია ხანძრის შესახებ სიგნალის მიღების და მორიგეს მოქმედების წესის შესახებ. აღნიშნული სათავსი აღიჭურვოს სატელეფონო ან/და ხმამაღლა მოლაპარაკე კავშირის მოწყობილობით და არანაკლებ 3 (სამი) გამართული ელექტრო ფარნით. **საფუძველი:** სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-3, მე-11 მუხლის პირველი, მე-3 და მე-8 პუნქტები და საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52-ე დადგენილება.	30.11.2020 წ.	

2.	ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, სკოლის შენობაში დამონტაჟდეს ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის სისტემები. **საფუძველი:** სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, მე-11 მუხლის მე-3 და მე-9 პუნქტები და საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52-ე დადგენილება.	30.11.2020 წ.	
3.	სკოლის მეორე და მესამე სართულის დერეფნებში დაემატოს ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებები - ცეცხლმაქრები ზღვრული დასაცავი ფართობის და ცეცხლმაქრის ტიპის გათვალისწინებით. ცეცხლმაქრები განთავსდეს თვალსაჩინო ადგილზე იატაკიდან არა უმეტეს 1,5 მეტრის სიმაღლისა. **საფუძველი:** „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი და მე-13 პუნქტები	31.04.2020 წ.	
4.	ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ადამიანთა უსაფრთხო ევაკუაციის უზრუნველსაყოფად, სკოლის მესამე სართულიდან მოეწყოს მეორე საევაკუაციო გასასვლელი. **საფუძველი:** სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი და მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.	30.11.2020 წ.	
5.	ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნას სკოლაში არსებული საევაკუაციო გასასვლელი კარების გაღების შესაძლებლობა შენობიდან გასვლის მიმართულებით. **საფუძველი:** სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი.	30.10.2020 წ.	
6.	ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, სკოლის შენობის საევაკუაციო გზებზე დამონტაჟდეს ავარიული განათება. **საფუძველი:** სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი და მე-11 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები.	30.06.2020 წ.	
7.	ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, სკოლის დერეფნებში არსებული შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების ონკანები დაკომპლექტდეს სახანძრო სახელურებით და ლულებით, მათი განთავსების ადგილები აღინიშნოს შესაბამისი ნიშნებით. **საფუძველი:** სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-13 მუხლის პირველი პუნქტი.	30.06.2020 წ.	

8.	ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, საქვაბე დასუფთავდეს წვადი მასალისაგან და დამონტაჟდეს გაზო ანალიზატორი, დაერთდეს შენობის ბუნებრივი აირის შემომსვლელ მილ ყელზე მოწყობილ (მოეწყოს) სწრაფი ამოქმედების ავტომატურ სარქველთან, რათა სათავსში გაზის გაჟონვის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნას ბუნებრივი აირის მიწოდების სწრაფი, დაუყოვნებელი შეწყვეტა. **საფუძველი:** სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-3 და საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52-ე დადგენილება.	28.02.2020 წ.	
9.	სკოლის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს არანაკლებ ნახევარ წელიწადში ერთხელ ხანძრის დროს პერსონალის მოქმედებების გავარჯიშება, შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ყველა ელემენტის გამართული მუშაობის შემოწმების პარალელურად. **საფუძველი:** სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტი.	31.01.2020 წ.	
10.	ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსების ადგილას და საევაკუაციო გასასვლელებთან გამოიკრას ერთიანი სატელეფონო ნომერი „112“. **საფუძველი:** სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N 370 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.	31.01.2020 წ.	

თუ არ ეთანხმებით მიწერილობაში მითითებულ სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებებს ან მათი შესრულების ვადებს, თქვენ უფლება გაქვთ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაასაჩივროთ აღნიშნული მიწერილობა მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში (მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. N83ა).

აღნიშნულ მიწერილობაში მითითებული სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებების შესაბამის ვადებში შეუსრულებლობა ან არა ჯეროვნად შესრულება იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - ჯარიმას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა, რაც ქმნის ხანძრის გაჩენის საშიშროებას ან/და საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია რეაგირების ზომად გამოიყენოს სასამართლოსათვის მიმართვა ობიექტის, შენობა-ნაგებობის, საწარმოო უბნის, აგრეგატის ან/და სათავსის ექსპლუატაციის შეჩერების ან ცალკეული სამუშაოების ჩატარების მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერების თაობაზე.

გიორგი გრძელიძე

სახელმწიფო ინსპექტორის გვარი, სახელი

2019 წ. „29“ ნოემბერი ---

(ხელმოწერა)

ალექსანდრე ხუციშვილი

სახელმწიფო ინსპექტორის გვარი, სახელი

2019 წ. „29“ ნოემბერი ---

(ხელმოწერა)

მიწერილობა შესასრულებლად მივიღე:

2019 წ. „----“ ---

(ხელმოწერა,

საკონტროლო შემოწმების (გამოკვლევის) შედეგები

შემოწმების თარიღი	შემოწმების სახე	შესრულებული პუნქტები N	ვინ ჩაატარა შემოწმება		ვინ გაეცნო	
			თანამდებობა, გვარი, სახელი	ხელმოწერა	თანამდებობა, გვარი, სახელი	ხელმოწერა
1	2	3	4	5	6	7